

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

14 სექტემბერი, 2017 წ.

შემსყიდველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის ფუნქციითა შემსრულებლის მამუკა ბერიძის სახით;

მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;

ტელ.: 2200 220

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;

საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს „თაიმსერვისი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის სულეიმან ჩიხლაძის სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ,

ტელ: 995 579287757; e-mail: info@tms.ge

საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „თიბისი ბანკი“, კოდი: TBCBGE22; ანგ. N GE25TB3405136020100007

საიდენტიფიკაციო კოდი 204570357

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 12.09.2017წ. N1054393 წერილის (გადაწყვეტილება), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 13.09.2017წ. N2550 განკარგულების (SMP170002194), 08.09.2017წ. N1032347 და 13.09.2017წ. N1065355 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ხარვეზი“ - ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებულ ხარვეზად ჩაითვლება თუ:

- მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე 5 წუთის დაგვიანებით ან მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე 40 წუთით ადრე;
- მოსწავლეთა სკოლიდან წამოყვანა განხორციელდება სასწავლო პროცესის დასრულებიდან 40 წუთის დაგვიანებით.
- თუ სატრანსპორტო საშუალების ტევადობა ნაკლები იქნება გადასაყვან მოსწავლეთა რაოდენობაზე.
- თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარ დათქმული ადგილებიდან საჯარო სკოლამდე და სკოლიდან უკან მოსწავლეების გადაყვანა არ განხორციელდება ხელშეკრულების დანართში მითითებული კონკრეტული მარშრუტების მიხედვით და თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება საწყისი წერტილიდან ბოლო წერტილამდე არ გაივლის კონკრეტულ მარშრუტში მითითებულ ყველა პუნქტს.

1.8 „მარშრუტი“ – ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ საწყისი წერტილიდან ბოლო წერტილამდე გასავლელი პუნქტების ერთობლიობა..

1.9 „გზა“ - მარშრუტის მანძილი მოსწავლეების აყვანის ადგილიდან საჯარო სკოლამდე ან უკან იგივე ადგილამდე, რომლის რაოდენობას განსაზღვრავს მიმწოდებელი მოსწავლეთა რაოდენობის, შესაბამისი ტრანსპორტის ტიპის და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.

## 2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების (CPV60170000) შესყიდვა.

## 3. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

3.1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაყვანის მომსახურება უნდა განხორციელდეს წინასწარ დადგენილი მარშრუტის მიხედვით ტექნიკურად გამართული, შესაბამისი მოცულობისა და რაოდენობის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით. ავტოსატრანსპორტო საშუალება (ავტობუსი, მიკრო ავტობუსი, მსუბუქი ავტომობილი) თითოეული მარშრუტისათვის უნდა შეირჩეს გადასაცემი ბავშვთა რაოდენობისა და ადგილის რელიეფის შესაბამისად. დაცული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი უსაფრთხო გადაადგილების ყველა ნორმა. ტრანსპორტირებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი პირობები, რომელიც გამოიწვევს მოსწავლეთა ჯანმრთელობის ზიანს. ასევე, მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ნიშნით, რომელიც მიუთითებს, რომ ხორციელდება ბავშვების გადაყვანა.

3.2 კონკრეტულ მარშრუტზე სატრანსპორტო საშუალების ტევადობა უნდა შეესაბამებოდეს სატრანსპორტო საშუალებაში სტაციონარულად დამონტაჟებულ სკამებზე დამჯდარ მდგომარეობაში გადასაცემი მოსწავლეთა რაოდენობას. კონკრეტულ მარშრუტზე განსაზღვრული გზების რაოდენობა და სატრანსპორტო საშუალების ტევადობა შესაბამისობაში უნდა იყოს გადასაცემი მოსწავლეთა რაოდენობასთან.

3.3 საჯარო სკოლის მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სასწავლო დროის დაწყებამდე და დასრულებიდან გონივრულ ვადაში (მოსწავლეთა სკოლაში მიყვანა უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 წუთისა და არაუმეტეს 40 წუთისა. ხოლო სკოლიდან წამოყვანა უნდა განხორციელდეს სასწავლო პროცესის დასრულებიდან - არაუგვიანეს 40 წუთისა).

3.4 ავტოსატრანსპორტო საშუალებებს უნდა მართავდნენ შესაბამისი მართვის უფლების მქონე მძღოლები.

3.5 სატრანსპორტო საშუალებით მოსწავლეთა გადაყვანის მომსახურება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაცვით.

3.6 ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა მოძრაობდეს იმ მარშრუტის შესაბამისად, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების დანართი N1-ში.

3.7 მომსახურების გაწევის ადგილია საქართველო: შიდა ქართლი, მცხეთა - მთიანეთი (დანართი 1-ში მითითებული მარშრუტების შესაბამისად).

3.8 მომსახურების ვადა: 2017 წლის 15 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით.

3.9 სატრანსპორტო მომსახურების გაწევის პერიოდში მიმწოდებელსა და სადაზღვევო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაზღვევო კომპანიის მიერ მიერ განხორციელებული იქნება მგზავრთა გადაყვანის პროცესში მოსწავლეების (მგზავრების) დაზღვევა ტენდერის პირობების მიხედვით, ერთ მოსწავლეზე არანაკლებ 1500.00 (ერთი ათას ხუთასი) ლარის ოდენობის სადაზღვევო თანხის ლიმიტით.

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 126 175,00 (ასოცდაექვსი ათას ასსამოცდათხუთმეტი) ლარს.

4.2 ერთეულის ფასები შესაბამისი საჯარო სკოლებისა და მარშრუტების მიხედვით გაწერილია დანართი N1-ში.

4.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს (მათ შორის დღგ-ს).

## 5. ანგარიშსწორება

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

5.2 დაფინანსების წყარო – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2017 წ. ბიუჯეტი („საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამა, პროგრამული კოდი: 320211).

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს დაუქვითოს შემსყიდველის ან საჯარო სკოლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.9 პუნქტით განსაზღვრული შესყიდვით გაწეული დანახარჯების სრული მოცულობა. იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს შემხვედრი ვალდებულება, შემსყიდველი

უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს, წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.9 პუნქტით განსაზღვრული შესყიდვით გაწეული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნით.

5.5 ერთი მარშრუტით გათვალისწინებული მომსახურებისათვის შემსყიდველის ან შემსყიდველის მითითებით საჯარო სკოლის მიერ გაწეული დანახარჯების (ამ მუხლის 5.4 პუნქტის შესაბამისად) დაქვითვის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს, წინამდებარე ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით ერთი გზის საშუალო ღირებულების 150%-ს.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს სატრანსპორტო მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ტრანსპორტი (ავტობუსი, მიკრო ავტობუსი, მსუბუქი ავტომობილი) თითოეული პუნქტისათვის უნდა შეირჩეს გადასაცემ მისწავლეთა რაოდენობისა და ადგილის რელიეფის შესაბამისად. დაცული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი უსაფრთხო გადაადგილების ყველა ნორმა. ტრანსპორტირებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი პირობები, რომელიც გამორიცხავს მოსწავლეთა ჯანმრთელობის ზიანს. ასევე, მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური ნიშნით, რომელიც მიუთითებს, რომ ხორციელდება ბავშვების გადაყვანა.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია გააგნოს ყველა მძღოლს ავტომობილის ტექნიკური გამართულობისა და მოძრაობის უსაფრთხოების ნორმები და უზრუნველყოს მათი განუხრელი დაცვა.

6.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მონიტორინგის სრულყოფის მიზნით დანერგოს მონიტორინგის/ კონტროლის სისტემა.

6.4 მონიტორინგის/კონტროლის აღჭურვილობა, რომელიც მონტაჟდება სატრანსპორტო საშუალებაზე, მოიცავს მრავალფუნქციურ საინფორმაციო დილაკს. მონიტორინგის/ კონტროლის აღჭურვილობის (მათ შორის, საინფორმაციო დილაკის) ექსპლუატაციის წესებს ადგენს შემსყიდველი და წარუდგენს მიმწოდებელს, რომელიც ვალდებულია წარდგენიდან სამ სამუშაო დღეში უზრუნველყოს ამ წესების შესრულება ტრანსპორტირების პროცესში. ამ წესების დარღვევა წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების დარღვევას.

6.5 საინფორმაციო დილაკის გამოყენების წესების ერთჯერადი დარღვევა გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას (იხ. ხელშეკრულების პირობების დარღვევა), განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი, ასევე, უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი მძღოლის ჩანაცვლება, რაც უნდა შესრულდეს.

6.6 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მონიტორინგის/კონტროლის სისტემის ამოქმედების მომენტიდან უზრუნველყოს მომსახურების გაწევის პროცესში ჩართულ ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებაში შემსყიდველის მიერ მითითებული ფიზიკური/კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის შეუფერხებელი დაშვება, რათა მოხდეს შესაბამის ავტოსატრანსპორტო საშუალებებში მონიტორინგის/ კონტროლის სისტემის გამართვა. ამისათვის, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, მომსახურების გაწევის მუნიციპალურ ცენტრში, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ დღესა და ადგილზე, მომსახურების პროცესში ჩართული სატრანსპორტო საშუალებების გამოცხადება. ასევე, მიმწოდებელმა ხელი უნდა შეუწყოს მონიტორინგის განხორციელებას.

6.7 მიმწოდებელი ვალდებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებაში მონიტორინგის/კონტროლის სისტემის აღჭურვილობის დაზიანების, განადგურებისა და დაკარგვის შემთხვევაში მოახდინოს მისი შეკეთება ან/და იმავე ან გაუმჯობესებული მახასიათებლის აღჭურვილობით ჩანაცვლება და გამართვა, რომელიც ამავდროულად თავსებადი იქნება შემსყიდველის მიერ დანერგილ მონიტორინგის/კონტროლის სისტემასთან. აღნიშნული ვითარების დადგომის შემთხვევაში ჩანაცვლება უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა. ინფორმაცია მონიტორინგის/კონტროლის აღჭურვილობის ჩანაცვლების შესახებ უნდა ეცნობოს შემსყიდველს 3 სამუშაო დღის ვადაში.

6.8 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების შემდგომ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მიერ მითითებული ფიზიკური/კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის შეუფერხებელი დაშვება, რათა მოხდეს მონიტორინგის/კონტროლის სისტემის აღჭურვილობის შესაბამის ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან ამოღება/დემონტაჟი.

6.9 თუ მიმწოდებელი ვერ ან არ ასრულებს კონკრეტული მარშრუტით გათვალისწინებულ მომსახურებას, შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიან პერიოდზე (ვიდრე მიმწოდებელი არ უზრუნველყოს მის შესრულებას) განახორციელოს სხვა მიმწოდებლისაგან მომსახურების შესყიდვა ან შემსყიდველის მითითებით საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სხვა მიმწოდებელისაგან მომსახურების შესყიდვას.

6.10 შემსყიდველი ვალდებულია ამ მუხლის 6.9 პუნქტში მითითებული შესყიდვის განხორციელებამდე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელექტრონული ფოსტის მისამართი: [Transportireba@mes.gov.ge](mailto:Transportireba@mes.gov.ge) - მიმწოდებლის ელექტრონული მისამართი: [info@tms.ge](mailto:info@tms.ge)) აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის თაობაზე. თუ შემსყიდველისათვის აღნიშნული წერილის მისვლის დღესვე არ განხორციელდება უკუკავშირი (რითაც მიმწოდებელი დაადასტურებს მარშრუტის შესრულებას მომდევნო სასწავლო დღისათვის), შემსყიდველი ან

შემსყიდველის მითითებით საჯარო სკოლა უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მიმწოდებელისაგან მომსახურების შესყიდვა.

6.11 შემსყიდველი ან შემსყიდველის მითითებით საჯარო სკოლა უფლებამოსილია მიმწოდებლის წინასწარი გაფრთხილების გარეშე მოახდინოს სხვა მიმწოდებელისაგან მომსახურების შესყიდვა, თუ მიმწოდებელი უკუკავშირით დაადასტურებს მომდევო სასწავლო დღისათვის მარშრუტით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებას, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ვერ ან არ შესრულდა მარშრუტით გათვალისწინებული მომსახურება.

6.12 იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ამ მუხლის 6.14 პუნქტის შესაბამისად მიმწოდებელს განუსაზღვრავს ახალი/ შეცვლილი მარშრუტის გრაფიკს ან გააუქმებს კონკრეტულ მარშრუტს, მიმწოდებელმა წარმოდგენილი ცვლილება უნდა გაითვალისწინოს მომდევნო სამუშაო დღიდან.

6.13 იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული მარშრუტით გათვალისწინებულ მომსახურებას წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად ახორციელებს სხვა მიმწოდებელი, მაგრამ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს მარშრუტით გათვალისწინებული მომსახურება, აღნიშნულის თაობაზე მიმწოდებელი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელექტრონული ფოსტის მისამართი: [Transportireba@mes.gov.ge](mailto:Transportireba@mes.gov.ge), მიმწოდებლის ელექტრონული მისამართი: [info@tms.ge](mailto:info@tms.ge)) აცნობებს შემსყიდველს. შემსყიდველი მიღებული წერილის საფუძველზე, ორი სასწავლო დღის ვადაში, ახდენს სხვა მიმწოდებლის მეშვეობით მომსახურების შეწყვეტას.

6.14 თუ საჯარო სკოლა შეცვლის მარშრუტის განხორციელების დროს, შემსყიდველი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელექტრონული ფოსტის მისამართი: [Transportireba@mes.gov.ge](mailto:Transportireba@mes.gov.ge), მიმწოდებლის ელექტრონული მისამართი: [info@tms.ge](mailto:info@tms.ge)) მიმწოდებელს უგზავნის შესაბამის წერილს განხორციელებული ცვლილების თაობაზე.

6.15 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

6.16 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

6.17 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.18 შემსყიდველი უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს მარშრუტების ოპტიმიზაციას, რომლის ფარგლებშიც კონკრეტული მარშრუტები შეიძლება გაუქმდეს როგორც მომსახურების დაწყებამდე, ასევე, მომსახურების დაწყების შემდეგ. შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს წინამდებარე პირობა.

## 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და ფინანსური დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ;

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველებია:

ა) მიმწოდებელსა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციას შორის გაფორმებული და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი (უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ) ტაბელი (დანართი N2 ტაბელის ფორმა), რომელიც ივსება ყოველდღიურად და შემსყიდველს წარედგინება მომსახურების დასრულებიდან გონივრულ ვადაში.

ბ) შესაბამისი რესურსცენტრის ანგარიშის საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლებისა და განვითარების დეპარტამენტის დასკვნა.

გ) მონიტორინგის/ კონტროლის სისტემის (არსებობის შემთხვევაში) საშუალებით განხორციელებული მონიტორინგის შედეგები.

7.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსს (ან შესაბამის უფლებამოსილ პირს) და „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის კოორდინატორს (ან შესაბამის უფლებამოსილ პირს).

7.4 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება მიმწოდებლის მიერ ტაბელების წარმოდგენიდან მაქსიმუმ 20 სამუშაო დღის ვადაში.

## 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრების საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები. ასევე, კონტროლი შესაძლებელია განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფლებამოსილმა თანაშრომლებმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 იანვრის N92 ბრძანებით დამტკიცებული

„საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დასაქმებულმა პირებმა.

8.2 კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი (საგანმანათლებლო რესურსცენტრის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი) ვალდებულია ყოველი თვის ბოლოს, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე, საჯარო სკოლებთან შეამოწმოს (გადაამოწმოს) მიმწოდებლის მიერ განხორციელებული მომსახურება და წერილობითი ფორმით აცნობოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს შემოწმების შედეგების შესახებ.

8.3 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილი პირი ვალდებულია შეადგინოს შესაბამისი დასკვნა (წერილობითი ფორმით), რომელშიც აღნიშნული იქნება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დეფექტები და ხარვეზები. აღნიშნული დასკვნა უნდა მომზადდეს და ეკონომიკურ დეპარტამენტს წარედგინოს მიმწოდებლის მიერ ტაბელების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

8.5 მიმწოდებელი ვალდებულია შემდგომი მომსახურების პერიოდში უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.6 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებისაგან.

## 9. ინტერესთა კონფლიქტი

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში „მიმწოდებელთან“.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შემდეგი პრინციპით:

ა) თუ მომსახურების გაწევის პერიოდში თითოეულ მარშრუტზე ხარვეზით განხორციელებული ან/და განუხორციელებელი მომსახურების რაოდენობა არ აღემატება 3 დღეს (ზედიზედ ან ჯამში), მიმწოდებელს დაკისრება პირგასამტეხლო განუხორციელებელ/ხარვეზით განხორციელებულ ყოველ გზაზე წინამდებარე ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით ერთი გზის საშუალო ღირებულების 1%-ის ოდენობით.

ბ) იმ შემთხვევაში თუ მომსახურების გაწევის პერიოდში ხარვეზით განხორციელებული და/ან განუხორციელებელი მომსახურება თითოეულ მარშრუტზე გადააჭარბებს 3 დღეს, მიმწოდებელს დაკისრება პირგასამტეხლო განუხორციელებელ/ხარვეზით განხორციელებულ ყოველ გზაზე წინამდებარე ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით ერთი გზის საშუალო ღირებულების 5%-ის ოდენობით. ამ შემთხვევაში ამავე მუხლის 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში გათვალისწინებულ 3 დღეზე გამოიყენება ამ ქვეპუნქტში მითითებული პირგასამტეხლოს მოცულობა.

გ) იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი ვეღარ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობას, აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და შემსყიდველი უფლებამოსილია გალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

დ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დროზე ადრე მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება.

ე) ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის 0.01%.

10.2 მიმწოდებლის მიერ წინამდებარე მე-6 მუხლის 6.7 პუნქტში მითითებული ვადების გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მონიტორინგის/კონტროლის სისტემის აღჭურვილობის მოწყობილობის ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.6 და 6.8 პუნქტში მითითებული გარემოების დადგომისას მიმწოდებელს დაეკისრება ერთჯერადი სანქცია 500 ლარის ოდენობით.

10.4 მონიტორინგის/კონტროლის აღჭურვილობის ექსპლუატაციის წესებით შეიძლება განისაზღვროს ჯარიმა ცრუ შეტყობინებისათვის ერთ შემთხვევაზე 100 ლარის ოდენობით.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველი მიერ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

10.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2 მხარეებს, სადაო საკითხების შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

### 12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა/ხარვეზით შესრულება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემზარგოს დაწესებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

### 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

13.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

13.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.5 ხელშეკრულების შეწყვეტა შემსყიდველს არ ართმევს უფლებას დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

13.6 იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრება იმგვარი პირობა, რითაც ერთერთი მხარე ვედარ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.7 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი უარს განაცხადებს მონიტორინგის სისტემით (შესაბამისი მოწყობილობით) ავტომანქანების აღჭურვაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

13.8 იმ შემთხვევაში თუ მონიტორინგის სისტემით ავტომანქანების აღჭურვის შემდგომ, მიმწოდებლის ბრალეულობით დაფიქსირდება გაუმართაობა ან მონიტორინგის სისტემის გათიშვა, რომელიც ჯამში გადააჭარბებს ათ შემთხვევას, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

### 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

### 15. სხვა პირობები


15.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან“.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

**შემსყიდველის მხრიდან:**

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის  
ფუნქციონირების შემსრულებელი  
მამუკა ბერიძე



**მიმწოდებლის მხრიდან:**

დირექტორი  
სულეიმან ჩიხლაძე



ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს „თაიმსერვისს“ შორის საქართველოს საჯარო სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მიღება-ჩაბარებისა და კონტროლის აქტზე ხელმომწერი პირები სრულად ვაკმაყოფილებთ კანონის ამ მოთხოვნას და არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.


ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების

დეპარტამენტის უფროსი /ლალი კალანდაძე/



„საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“

პროგრამის კოორდინატორი /არჩილ ელიაშვილი/



„საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“

პროგრამის მონიტორები:

/ფიქრია მიქაბერიძე/



/თეო ქვარაია/



14,09,2017 წელი



**ტაბელის ფორმა**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მოწერნი, ერთის მხრივ ..... (სკოლის დასახელება) (შემდგომში - სკოლა) უფლებამოსილი წარმომადგენლის ..... სახით და მეორეს მხრივ ..... (შემდგომში - მძღოლი, პირადი ნომერი, სახელი და გვარი) ვადასტურებთ, რომ მიმდინარე წლის ..... თვეში მძღოლმა უზრუნველყო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება შემდეგი მიმართულებით ..... სულ ----- გზა.

#	თარიღი	სკოლაში მიყვანა				სკოლიდან წამოყვანა				შენიშვნა
		მოსწავლეთა რაოდენობა	გზების რაოდენობა	სკოლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა	მძღოლის ხელმოწერა	მოსწავლეთა რაოდენობა	გზების რაოდენობა	სკოლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა	მძღოლის ხელმოწერა	
1										
2										
3										
4										
5										
6										
7										
8										
9										
10										
11										
12										
13										
14										
15										
16										
17										
18										
19										
20										
21										
		ჯამი				ჯამი				

შენიშვნა: ფორმა ივსება 1 ეგზემპლარად (ორიგინალი დოკუმენტი გადაეცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სკოლის დირექტორის ხელმოწერითა და სკოლის ბეჭდით დამოწმებული 1 ცალი ასლი გადაეცემა სატრანსპორტო კომპანიას, 1 ცალი ასლი კი სკოლას)  
 აუცილებელი პირობა ტაბელის შევსების დროს:  
 ტაბელი ივსება ყოველდღიურად, თითოეულ გზაზე ცალ-ცალკე და ხელმოწერილი უნდა იყოს როგორც სკოლის დირექტორის ან სკოლის უფლებამოსილი წარმომადგენლის ასევე, მძღოლის ან კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლის) მიერ. შენიშვნის გრაფაში საჯარო სკოლის წარმომადგენელმა აუცილებლად უნდა მოუთითოს ხარვეზების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მაგ: დაგვიანებით ან დროზე მაღლიან ადრე მოსწავლეების სკოლაში მიყვანა და წამოყვანა და ა.შ.

სკოლის წარმომადგენლის ხელმოწერისა და ბეჭდის ადგილი

ზედა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი

N	რეკონა	ბათონი	სკოლა	საიდენტიფიკაციო კოდი	მარშრუტი	დასაბუღების ტიპი	სწავლის დაწყების დრო	სწავლის დასრულების დრო	მომწველ ვების საცარე ღირება	სავარაუდო ჩანსილი (კმ)	შენიშვნა	საკანკალი დღების რაოდენობა	კვირის რაზი	აბორიგინო საკანკალიო სასაბუნბუნო ტექნოლოგია	კანკალიო ვაში	საერთო ვაში
1	ზედა ქართლი	კონი	კონის №1 საჯარო სკოლა	218016670	ქალის დასაბუღება - კონის №1 საჯარო სკოლა კერძების დეგნალია დასაბუღება - კონის №1 საჯარო სკოლა	ქალაქი	9:00	14:00	25 30	3 4		11	2	25	20	440.00
2	ზედა ქართლი	კონი	სსიპ ქალაქ კონის №5 საჯარო სკოლა	218016714	კარბლითის დეგნალია დასაბუღება - კონის №5 საჯარო სკოლა	ქალაქი	9:00	13:10	37	3		11	2	30	20	440.00
								14:00	82			11	4	47	20	880.00
3	ზედა ქართლი	კონი	კონის №6 საჯარო სკოლა	218016723	კონის №6 საჯარო სკოლა	ქალაქი	9:00	13:00	13	3		11	2	13	20	440.00
								17:10	3			11	2	32	20	440.00
4	ზედა ქართლი	კონი	კონის №7 საჯარო სკოლა	218018847	კონის №7 საჯარო სკოლა	ქალაქი	9:00	14:00	25	4		11	2	37	20	440.00
								17:10	3			11	2	45	20	880.00
5	ზედა ქართლი	კონი	კონის №8 საჯარო სკოლა	218016732	კონის №8 საჯარო სკოლა	ქალაქი	9:00	14:05	19	5		11	2	19	20	440.00
								21	21			11	2	21	20	440.00
6	ზედა ქართლი	კონი	კონის №9 საჯარო სკოლა	218016741	კონის №9 საჯარო სკოლა	ქალაქი	9:00	14:05	25	13		11	2	25	1	22.00
								25	13			11	2	52	20	440.00
